



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან

**ISET**  
International School of Economics at TSU  
Policy Institute



## რეფორმეტრი

# გადახდისუნარობის რეფორმის შეფასებითი ანგარიში

**ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი**

**2023 წლის ოქტომბერი**

**USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის საგრანტო აქტივობა:  
რეფორმების პროგრესის მონიტორინგის სისტემა „რეფორმეტრის“ მხარდაჭერა**

შენიშვნა: წინამდებარე ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ, USAID-ის მეშვეობით გაწეული დახმარების შედეგად. ანგარიშის შინაარსი შესაძლოა არ წარმოადგენს USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.



## სარჩევი

გადახდისუნარობის რეფორმის შესახებ .....	3
რეფორმეტრის მეთოდოლოგია .....	3
რეფორმის განმახორციელებელი ინსტიტუტების მიერ რეფორმის პროგრესის შეფასება .....	4
დაინტერესებული მხარეების შეფასება .....	6
საჯარო-კერძო დიალოგი .....	7
რეფორმის მონიტორინგის ობიექტური ინდიკატორები .....	8
1. გადახდისუნარობის საქმეთა რაოდენობა .....	9
1.1. გადახდისუნარობის საქმეთა რაოდენობა (საქართველოს უზენაესი სასამართლო) .....	9
1.1.1. წლის დასაწყისში არსებული გადახდისუნარობის საქმეების ნაშთი .....	9
1.1.2. სასამართლოსთვის განსახილველად გადაცემული გადახდისუნარობის საქმეების რაოდენობა .....	10
1.1.3. დასრულებული გადახდისუნარობის საქმეები .....	11
1.2. გადახდისუნარობის საქმეების რაოდენობა (ecourt.ge) .....	11
2. რეაბილიტაციის რეჟიმით მიმდინარე საქმეების წილი წამოწყებულ გადახდისუნარობის საქმეებში .....	12
3. გადახდისუნარობის საქმეების მიმდინარეობის ხანგრძლივობა .....	13
3.1 დასრულებული გადახდისუნარობის საქმეების ხანგრძლივობა .....	13
3.2 გადახდისუნარობის საქმეთა საქმისწარმოების ხანგრძლივობა .....	14
დანართი I. დაინტერესებულ მხარეთა კითხვარი .....	16
დანართი II. საჯარო-კერძო დიალოგზე გამოყენებული პრეზენტაცია .....	17



## გადახდისუნარობის რეფორმის შესახებ

გადახდისუნარობის მიმდინარე რეფორმამდე საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც არეგულირებს გადახდისუნარობის საქმის წარმოებას, მკვეთრად განსხვავდებოდა საერთაშორისო სტანდარტებისგან და ვერ აკმაყოფილებდა ვერც კრედიტორთა და ვერც მოვალეთა საჭიროებებს. იგი არ აძლევდა სტიმულს გადახდისუნარო სუბიექტებს, რომ აერჩიათ რეაბილიტაცია, როგორც კომპანიის ფინანსური სირთულეების გადაჭრის ოპტიმალური სტრატეგია. ამგვარი დაბრკოლებების გადასალახად 2021 წლის აპრილში საქართველოში ამოქმედდა ახალი კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“. როგორც კანონის დასახელებიდან ჩანს, მისი მთავარი მიზანია კრედიტორების კოლექტიური დაკმაყოფილება კომპანიის რეაბილიტაციის გზით, „ხოლო რეაბილიტაციის მიღწევის შეუძლებლობის შემთხვევაში – გადახდისუნარობის მასის რეალიზაციით მიღებული თანხების განაწილებით“<sup>1</sup>. კანონი აუქმობს გადახდისუნარობის პროცესის ეფექტურობას, ქმნის რამდენიმე ინოვაციურ მექანიზმს და არსებითად ცვლის იმ ინსტიტუციურ სტრუქტურას, რომელიც არეგულირებდა გადახდისუნარობის საქმის წარმოებას. პროექტი „რეფორმეტრი“ გადახდისუნარობის რეფორმის პროგრესს პერიოდულად აკვირდება. მიმდინარე ანგარიშში მოცემულია გადახდისუნარობის რეფორმის რიგით მესამე საჯარო-კერძო დიალოგის შედეგები.

## რეფორმეტრის მეთოდოლოგია

რეფორმეტრის ფარგლებში შერჩეული რეფორმების შეფასებისათვის გამოყენებულია სამი ძირითადი ინსტრუმენტი:

1. **სამთავრობო კვლევა**, ხარისხობრივი გამოკითხვის გზით, აფასებს რეფორმის განხორციელების პროცესში რეფორმის დამნერგავი სამთავრობო უწყებების საქმიანობას ოთხი ძირითადი მიმართულებით: საკანონმდებლო ჩარჩო; ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი; ინსტიტუციური მოწყობა; კომპეტენციის გაძლიერება. აღნიშნული გამოკითხვა 0-დან 100%-იან შკალაზე ზომავს რამდენად ახლოს არის რეფორმის დამნერგავი უწყება რეფორმის მიერ განსაზღვრული ამოცანების შესრულებასთან.
2. **დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის** ფარგლებში რეფორმის დაინტერესებული მხარეები შეფასებას ოთხი ძირითადი მიმართულებით ახორციელებენ: რეფორმის შინაარსი და ადეკვატურობა; რეფორმის სფეროში არსებული ვითარება; რეფორმის დანერგვაში მიღწეული პროგრესი; რეფორმის მოსალოდნელი შედეგები. თითოეული კომპონენტი 10 ქულიან შკალაზე ფასდება (დაინტერესებულ მხარეთა კითხვარი მოცემულია დანართი 1-ის სახით). მნიშვნელოვანია, რომ დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვაში მონაწილეობს ყველა დაინტერესებული მხარე, რომელიც ესწრება რეფორმის შესახებ გამართულ საჯარო-კერძო დიალოგს, გარდა რეფორმის დამნერგავი უწყებ(ებ)ისა.
3. **დამატებით**, რეფორმის პროგრესის შესაფასებლად პროექტ „რეფორმეტრის“ გუნდი აკვირდება რეფორმის მოსალოდნელ შედეგებთან დაკავშირებით იდენტიფიცირებულ **ეკონომიკურ ინდიკატორებს**.

გადახდისუნარობის რეფორმის შეფასება აერთიანებს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ინსტრუმენტს.

პასუხისმგებელი სამთავრობო ინსტიტუტების პროგრესი რეფორმის განხორციელებაში შეფასდა იმ ეტაპების გათვალისწინებით, რომლებიც დადგენილი იყო რეფორმის განხორციელების დღის წესრიგით სამაგიდე კვლევისა და რეფორმის ძირითადი

<sup>1</sup> „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლი <https://matsne.gov.ge/en/document/download/4993950/0/en/pdf#:~:text=The%20purpose%20of%20this%20Law,sale%20of%20an%20insolvency%20estate.>



დაინტერესებულ მხარეებთან (მათ შორის, იუსტიციის სამინისტრო, აღსრულების ეროვნული ბიურო, იუსტიციის სასწავლო ცენტრი და ბიზნესის რეაბილიტაციისა და გადახდისუნარობის პრაქტიკოსთა ასოციაცია (BRIPA), USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა) კონსულტაციების საფუძველზე.

გადახდისუნარობის რეფორმა რიგით მესამედ შეფასდა 2023 წლის 19 სექტემბერს ჩატარებული საჯარო-კერძო დიალოგის შეხვედრის (შემდგომში PPD)<sup>2</sup> შემდეგ. პროექტ „რეფორმების“ ფარგლებში, რეფორმის შეფასებითი შემდგომი PPD ღონისძიების გამართვა იგეგმება 2024 წლის მაისში.

### **რეფორმის განხორციელებელი ინსტიტუტების მიერ რეფორმის პროგრესის შეფასება**


საქართველოში გადახდისუნარობის რეფორმის დამწერგავი უწყება საქართველოს იუსტიციის სამინისტროა. რეფორმის განხორციელების პროცესში აგრეთვე ჩართულია იუსტიციის სამინისტროში შემავალი ორი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ). რეფორმის ფარგლებში აღსრულების ეროვნულ ბიუროს<sup>3</sup> მიენიჭა უფლებამოსილება, განხორციელოს რამდენიმე აქტივობა რეფორმის ინფრასტრუქტურული (მაგ., საქმის წარმოების ელექტრონული სისტემის დანერგვა, გადახდისუნარობის პრაქტიკოსთა რეესტრის შექმნა და მენეჯმენტი) და ინსტიტუციური უზრუნველყოფის (მაგ., გადახდისუნარობის პრაქტიკოსთა ავტორიზაცია) მიმართულებით. იუსტიციის სასწავლო ცენტრი კი განისაზღვრა როგორც ცენტრალური ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია გადახდისუნარობის პრაქტიკოსთა სერტიფიცირების პროგრამის შემუშავებასა და მართვაზე. გარდა სახელმწიფო უწყებებისა, რეფორმის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში კიდევ ერთი ცენტრალური ინსტიტუტია ჩართული - ბიზნესის რეაბილიტაციისა და გადახდისუნარობის პრაქტიკოსთა ასოციაცია (BRIPA). BRIPA წარმოადგენს სფეროს პროფესიონალებს - გადახდისუნარობის პრაქტიკოსებს და მისი ფუნქციაა რეფორმის ხელშეწყობი სხვადასხვა დამხმარე თუ პროფესიული ინსტრუმენტის შექმნა (მაგ., ცხელი ხაზის მომსახურების, INSOL AID-ის დანერგვა, პრაქტიკოსთა ეთიკის კოდექსის შემუშავება), აგრეთვე რეფორმის ფარგლებში დაგეგმილი კომპეტენციების გაძლიერების სხვადასხვა აქტივობის განხორციელება.

ქვემოთ მოცემულ გრაფიკში (გრაფიკი 1) დეტალურადაა განხილული რეფორმასთან დაკავშირებული ძირითადი აქტივობები და მათი მიმდინარე სტატუსი 2023 წლის სექტემბრის მდგომარეობით.

### **გრაფიკი 1: რეფორმასთან დაკავშირებული ძირითადი აქტივობები და მათი მიმდინარე სტატუსი**

<sup>2</sup> ინგლ. Public-Private Dialogue (PPD)

<sup>3</sup>გადახდისუნარობის წინა საკანონმდებლო ჩარჩოს მიხედვით, სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს გადახდისუნარობის საქმის წარმოებაში გადამწყვეტი როლი ჰქონდა - იგი მოქმედებდა გადახდისუნარობის პროცესში სავალდებულო მუხრვედ; კანონით განსაზღვრულ გარკვეულ შემთხვევებში კი ბიურო ხელმძღვანელობდა კომპანიის გაკოტრების პროცესს და გადახდისუნარო კომპანიებს სთავაზობდა აუქციონის მომსახურებას. გადახდისუნარობის ახალი კანონის ფარგლებში აღსრულების ეროვნული ბიუროს ფუნქცია შემოფარგლულია მავტორიზებული როლით, რამდენიმე ინფრასტრუქტურული და ინსტიტუციური აქტივობის განხორციელების პასუხისმგებლობასთან ერთად.



რეფორმის პროგრესის ხარისხობრივმა შეფასებამ აჩვენა, რომ მთლიანობაში, გადახდისუნარობის რეფორმა წარმატებით ხორციელდება - დამნერგავმა ინსტიტუტებმა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიეს რეფორმაში შემავალი ყველა ძირითადი მიმართულებით. წინა საანგარიშო პერიოდისგან (2022 წლის დეკემბერი) განსხვავებით, BRIPA-მ უკვე შეიმუშავა პრაქტიკოსთა ეთიკის კოდექსი, ამასთანავე, ასოციაცია აქტიურად ახორციელებს სხვადასხვა პროფესიულ და ცნობიერების ასამაღლებელ სასწავლო კურსსა და სემინარს. გარდა ამისა, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ გამოაცხადა პრაქტიკოსად ავტორიზების შესაძლებლობა იურიდიული პირებისათვის. თუმცა, მიუხედავად ინსტიტუტის მზაობისა, ამ მიმართულებით მსურველები არ გამოჩენილან.

აქტივობების განხორციელებისას მიღწეული წარმატების მიუხედავად, რეფორმის დანერგვის პროცესში რჩება გარკვეული დაბრკოლებები. მაგალითად, ჯერ კიდევ არ ამოქმედებულა გადახდისუნარობის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა. აღნიშნული აქტივობაზე პასუხისმგებელია აღსრულების ეროვნული ბიურო. არსებითია, რომ ბიუროს აქვს მზაობა, შექმნას გადახდისუნარობის საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა, თუმცა პროცესი ჯერ არ დაწყებულა საჭირო ფინანსური რესურსების არარსებობის გამო. აღნიშნული მიმართულებით აღსრულების ეროვნული ბიუროს შეთავაზებაა, რომ გადახდისუნარობის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა ამოქმედდეს ბიუროში უკვე არსებული ელექტრონული სისტემის ფარგლებში. გარდა ამისა, ისევ არსებობს გარკვეული ხარვეზები გადახდისუნარობის პრაქტიკოსთა რეესტრის ფუნქციონირებაში. კერძოდ, სფეროს პროფესიონალების განცხადებით, არსებული რეესტრის ალგორითმი არათანაბრად ანაწილებს საქმეებს გადახდისუნარობის პრაქტიკოსებზე, რის გამოც, ამჟამად, ყველა ავტორიზებული პრაქტიკოსი არ არის თანაბრად დატვირთული გადახდისუნარობის საქმეთა მართვით.

აღსანიშნავია, რომ გვხვდება გამოწვევები გადახდისუნარობის ახალი კანონის მუშაობის პრაქტიკულ ნაწილშიც. ამ საკითხთან დაკავშირებით, დაინტერესებული მხარეები (მაგ., შემოსავლების სამსახური და BRIPA) სამომავლოდ განიხილავენ საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირებასაც. კომპეტენციების გაძლიერების ნაწილში, ამ გადმოსახედიდან, არ არსებობს გადახდისუნარობის პრაქტიკოსთა სერტიფიცირების ახალი ნაკადის საჭიროება. აქვე, არ იგეგმება გადახდისუნარობის პრაქტიკოსთა კატეგორიზაცია, გადახდისუნარობის საქმეთა მაღალი რაოდენობის არარსებობის გამო. თუმცა, მაშინ, როცა საქმეთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება, საჭირო გახდება აღნიშნული აქტივობების განხორციელებაც -




მაგალითად, პრაქტიკოსთა ახალი ნაკადის სერტიფიცირების შემთხვევაში შესაძლოა საუბარი იყოს პრაქტიკოსთა კატეგორიზების საჭიროებაზეც, რადგან ამ შემთხვევაში ხილული იქნება სფეროს პროფესიონალებს შორის არსებული განსხვავება მათი კვალიფიკაციის (ახალი კანონის ფარგლებში გადახდისუნარობის საქმეთა მართვის გამოცდილების) მიხედვით.

დაბოლოს, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს გადახდისუნარობის ახალი კანონისა და მისი ინსტიტუტების გამოყენების დაბალი დონე ბიზნესში. ამ მხრივ არსებითია საზოგადოებაში ახალი კანონის მიმართ ცნობიერების ამაღლება, რამაც რეფორმის სარგებელი კიდევ უფრო ფართო და ხელშესახები უნდა გახადოს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია რეფორმის განმახორციელებელი უწყებების გამოკითხვის შედეგები, რომლის მიხედვითაც გადახდისუნარობის რეფორმის ქვეშ დაგეგმილი აქტივობების 83.9% შესრულებულია. შესრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ინსტიტუციური მოწყობის (96.7%) განზომილების ქვეშ დაგეგმილ აქტივობებში დაფიქსირდა. შესრულების მაღალი მაჩვენებელია სამართლებრივი ჩარჩოსა (91.1%) და კომპეტენციის გაძლიერების (90%) მხრივ არსებულ აქტივობებში. ყველაზე დაბალი მაჩვენებლით კი ინფრასტრუქტურისა და ბიუჯეტის (52%) ქვეშ დაგეგმილი აქტივობები შეფასდა გადახდისუნარობის საქმის წარმოების ელექტრონული სისტემის არარსებობისა და პრაქტიკოსთა რეესტრის აღგორითმში არსებული ხარვეზების გამო (დიაგრამა 1).

**დიაგრამა 1. რეფორმის განმახორციელებელი უწყებების გამოკითხვის შედეგები<sup>4</sup>**



### დაინტერესებული მხარეების შეფასება

გადახდისუნარობის რეფორმის შესახებ რიგით მესამე PPD ღონისძიებას ესწრებოდნენ რეფორმის ყველა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლები აღსრულების ეროვნული ბიუროდან, ბიზნესის რეაბილიტაციისა და გადახდისუნარობის პრაქტიკოსთა ასოციაციიდან (BRIPA), იუსტიციის სამინისტროდან და იუსტიციის სასწავლო ცენტრიდან. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ შემოსავლების სამსახურის, სხვადასხვა ბიზნეს ასოციაციის, კერძო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები.


დაინტერესებულმა მხარეებმა გადახდისუნარობის რეფორმა 10 ქულიდან 8.45 ქულით შეაფასეს, რაც რეფორმის წარმატებით განხორციელებაზე მიუთითებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წინა შეფასების შედეგებთან შედარებით, გაუმჯობესდა შეფასების ყველა კომპონენტის ქულა, გარდა რეფორმის მიმდინარე მდგომარეობისა, სადაც მცირედი (0.02 ქულიანი) კლება ფიქსირდება. დაინტერესებული მხარეების მიერ, რიგით მეორე PPD

<sup>4</sup> რეფორმის პროგრესის შეფასების ოთხ მიმართულებას მიენიჭა შესაბამისი წონები, თითოეული განზომილების ქვეშ მოაზრებული აქტივობების სიმრავლის და სირთულის გათვალისწინებით. წონები გადანაწილდა შემდეგვარად: სამართლებრივი ჩარჩო - 45%; ინსტიტუციური მოწყობა - 15%; ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი - 20%; კომპეტენციის გაძლიერება - 20%.



ღონისძიების დროს გაკეთებულ შეფასებასთან შედარებით, გადახდისუნარობის რეფორმის განხორციელების ზოგადი ქულა 0.27-ით გაიზარდა.

**დიაგრამა 2. დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგები**



**საჯარო-კერძო დიალოგი**

ანგარიშის ქვემოთ მოცემულ ნაწილში შეჯამებულია საჯარო-კერძო დიალოგის ღონისძიებაზე გამოთქმული მოსაზრებები:

- აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარემ, მირიან ხარაბაძემ, ღონისძიების მონაწილეებს ბიუროს პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული აქტივობების პროგრესთან დაკავშირებით მიაწოდა ინფორმაცია. როგორც აღინიშნა, ორგანიზაციამ ახალი კანონის ამოქმედების შემდეგ 18 აპლიკანტს მიანიჭა გადახდისუნარობის პრაქტიკოსის ავტორიზაცია. ხაზი გაესვა ბიუროს ინსტიტუციურ მზადყოფნას დამატებითი რაოდენობის პრაქტიკოსების ავტორიზაციასთან დაკავშირებითაც. ამასთან, აღინიშნა, რომ ბიუროსთვის მნიშვნელოვანია ამოქმედდეს გადახდისუნარობის საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა, თუმცა ამ მიმართულებით საჭიროა ორგანიზაციის მხარდაჭერა. ბიუროს შეთავაზებაა, რომ გადახდისუნარობის საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა ამოქმედდეს აღსრულების ეროვნულ ბიუროში უკვე არსებული სისტემის ფარგლებში. აქვე, ხაზი გაესვა პრაქტიკოსთა რეესტრის ალგორითმის გაუმჯობესების მნიშვნელობასაც. გარდა ამისა, მირიან ხარაბაძემ ისაუბრა გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ სტატისტიკური მონაცემების კონსოლიდაციის საჭიროებაზე აღსრულების ეროვნულ ბიუროში. ამ მიმართულებით, დაფიქსირდა ბიუროს სურვილი, რომ ითანამშრომლოს გადახდისუნარობის პრაქტიკოსთა პროფესიულ ასოციაციასთან - BRIPA-სთან, რათა პრაქტიკოსების გავლით ბიუროში შესაძლებელი იყოს საქმის წარმოების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ახალი კანონის დადებითი შეფასების მიუხედავად, მოქმედ ჩარჩოში გარკვეული ხარვეზები კვლავ რჩება და კიდევ ერთხელ გამოიხატა ბიუროს მზადყოფნა, საჭირო რესურსების უზრუნველყოფის შემთხვევაში, განავითაროს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა და გაუმჯობესოს გადახდისუნარობის პრაქტიკოსთა რეესტრის ალგორითმი.
- გადახდისუნარობის რეფორმა მიმოიხილა ბიზნესის რეაბილიტაციისა და გადახდისუნარობის პრაქტიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარემ ნანა ამისულაშვილმაც, რომელმაც ხაზი გაუსვა რეფორმის პროგრესის მჭიდრო მონიტორინგის აუცილებლობას, რათა გაიზარდოს კანონის პრაქტიკაში გამოყენება დროთა განმავლობაში. შეხვედრაზე ასევე აღინიშნა რეფორმის უკეთ განხორციელებისთვის BRIPA-ში არსებული სამი მიმართულება:
  1. **პრაქტიკის ანალიზი**, რომელიც მოიცავს მონაცემთა შეგროვებას, მონაცემთა ანალიზს და პროგრესის მონიტორინგს. დისკუსიის დროს ხაზი გაესვა ჩატარებული პრაქტიკის ანალიზის დადებით შედეგებს.



2. პროფესიული გაძლიერება, რაც მოიცავს სფეროს პროფესიონალებისთვის სხვადასხვა ტრენინგისა და კონსულტაციის ორგანიზებას.
  3. ცნობიერების ამაღლების აქტივობები, რომლის ფარგლებშიც რეგიონში შეხვედრებისა და ტრენინგების საშუალებით, ასოციაცია ცდილობს ახალი კანონის შესახებ ცნობიერების ამაღლებას. თუმცა, აღინიშნა, რომ, მიუხედავად BRIPA-ს ძალისხმევისა, კანონის შესახებ ინფორმირებულობის დონე კვლავ დაბალია, რაც სასამართლოში გადახდისუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესახებ მოთხოვნების დაბალ რაოდენობაშია ასახული.
- საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა, ვახტანგ ჟვანიამ, ხაზი გაუსვა ორგანიზაციის მზაობას ახალი ნაკადის გადახდისუნარობის პრაქტიკოსების დამატებითი სერტიფიცირების შესახებ და კვლავ წარმოადგინა გადახდისუნარობის პრაქტიკოსთა სერტიფიცირების პირველი ეტაპის შედეგები, სადაც 21 სერტიფიცირებული პრაქტიკოსიდან 20-მა მოითხოვა აღსრულების ეროვნული ბიუროსგან ავტორიზაცია, 18-მა კი მიიღო. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ დროთა განმავლობაში უფრო მეტი ადამიანი ინტერესდება და სურს ჩაერთოს გადახდისუნარობის პრაქტიკოსთა სასერტიფიკატო პროგრამაში. უწყების წარმომადგენლის მიხედვით, სასწავლო ცენტრის მიმდინარე აქტივობების ფარგლებში მათ გადახდისუნარობის რეფორმა უკვე გააცნეს 5 000-მდე ფიზიკურ პირს. ვახტანგ ჟვანიას განცხადებით, იუსტიციის სასწავლო ცენტრის რეგიონული ცენტრების საშუალებით არსებობს რესურსი, რომ, BRIPA-ს ჩართულობით, კიდევ მეტი საინფორმაციო ღონისძიება გაიმართოს რეფორმის შინაარსისა და კანონის ახალი ინსტრუმენტების შესახებ.
  - გარდა რეფორმის აქტივობების მიმოხილვისა, საჯარო-კერძო დიალოგის დროს შეფასდა გადახდისუნარობის ახალი კანონის პროგრესი პრაქტიკაში. ამ მიმართულებით, შემოსავლების სამსახურის მეთოდოლოგიის დეპარტამენტის წარმომადგენელმა, იონა კიზირიამ აღინიშნა, რომ შემოსავლების სამსახურისთვის აუცილებელი გახდა დაედგინა ფიქსირებული 15-დღიანი ვადა პოტენციურად გადახდისუნარო ბიზნესისთვის ფინანსური დეკლარაციის წარდგენისთვის. მოსალოდნელია, რომ ეს ნაბიჯი დადებითად იმოქმედებს კანონის ეფექტურ აღსრულებაზე, შეაჩერებს მანიპულაციებს და გაზრდის სამართლიანობის ხარისხს სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის. გარდა ამისა, ხაზი გაესვა რეაბილიტაციის გეგმის მიღების სავალდებულო 9 თვიანი ვადის შემოღების დადებით გავლენას მოვალეთა ქცევაზე.
  - PPD შეხვედრის დასკვნით ნაწილში კიდევ ერთხელ გამახვილდა ყურადღება ახალი კანონის პოზიტიურ ასპექტებზე. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა კონკრეტულად მიუთითა ახალი კანონის დადებით მხარეზე, რაც გამოიკვეთა მსოფლიო ბანკის ახალი რეიტინგის - Business Ready - პასუხების წარდგენისას. აღნიშნული რეიტინგი, სხვა კომპონენტებთან ერთად, აკვირდება გადახდისუნარობის სამართლებრივი ჩარჩოს ეფექტურობას შერჩეულ იურისდიქციებში.

## რეფორმის მონიტორინგის ობიექტური ინდიკატორები

პროექტ „რეფორმების“ ფარგლებში რეფორმასთან დაკავშირებული ინდიკატორების მონიტორინგი რეფორმის პროგრესის შეფასების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. შერჩეული ინდიკატორები ეფუძნება შემდეგი ორი ძირითადი წყაროდან მოპოვებულ მონაცემებს: ა) საქართველოს უზენაესი სასამართლო, ბ) სასამართლო საქმეების რეგისტრაციის ელექტრონული პორტალი – [ecourt.ge](http://ecourt.ge)<sup>5</sup>. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მონაცემები მოიცავს პერიოდს 2012 წლიდან 2022 წლის ჩათვლით. აღნიშნული მონაცემები მხოლოდ გადახდისუნარობის საქმეების რაოდენობის ზოგადი, დინამიკური ანალიზის საშუალებას

<sup>5</sup> [www.ecourt.ge](http://www.ecourt.ge)





იძლევა (მაგ. გადახდისუნარობის საქმეთა ნაშთი, წამოწყებული და დასრულებული გადახდისუნარობის საქმეები). უზენაესი სასამართლოს მონაცემებისგან განსხვავდება ecourt.ge-ს ანალიზის შედეგად შემუშავებული ინდიკატორები. პლატფორმა ecourt.ge-ზე შეგიძლიათ მოიძიოთ ნებისმიერი სიახლე გადახდისუნარობის საქმეებთან დაკავშირებით 2019 წლის მაისიდან გამოცემული განჩინებების სახით. პლატფორმაზე თავს იყრის განჩინება ყველა ისეთ საქმეზე, რომელიც დაიწყო ან განახლდა 2019 წლის მაისიდან. შესაბამისად, ამ მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელია ისეთი ინდიკატორების წარმოება, როგორებიცაა გადახდისუნარობის პროცესის ხანგრძლივობა და რეაბილიტაციის რეჟიმის წილი წამოწყებულ გადახდისუნარობის საქმეებში წინა და მოქმედი საკანონმდებლო ბაზის ფარგლებში.

## **1. გადახდისუნარობის საქმეთა რაოდენობა**

### **1.1. გადახდისუნარობის საქმეთა რაოდენობა (საქართველოს უზენაესი სასამართლო)**


ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ გადახდისუნარობის სისტემის ეფექტურობის შესაფასებლად, არის სხვადასხვა პერიოდის განმავლობაში წამოწყებული და დასრულებული გადახდისუნარობის საქმეების რაოდენობა. ზოგადი სურათის უკეთ აღსაქმელად, პირველ რიგში განვიხილავთ სამ ინდიკატორს, რომლებიც ეფუძნება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ზოგად მონაცემებს: წლის დასაწყისში არსებული გადახდისუნარობის საქმეების ნაშთი, სასამართლოსთვის განსახილველად გადაცემული გადახდისუნარობის საქმეების რაოდენობა და დასრულებული გადახდისუნარობის საქმეების რაოდენობა<sup>6</sup>.

#### **1.1.1. წლის დასაწყისში არსებული გადახდისუნარობის საქმეების ნაშთი**

წლის დასაწყისში არსებული განსახილველი საქმეების ნაშთი შეიძლება ჩაითვალოს გადახდისუნარობის საქმეების განხილვასთან დაკავშირებით საქართველოს სასამართლოების დატვირთვის მაჩვენებლად. გრაფიკი 2 გვიჩვენებს, რომ წლის დასაწყისში არსებული გადახდისუნარობის საქმეების ნაშთი საანგარიშო პერიოდში იზრდებოდა, თუმცა სხვადასხვა ტემპით. უფრო ზუსტად, 2020 წელს ასეთი საქმეების რიცხვი 18-ით გაიზარდა, 2021 წლიდან კი ზრდის ტემპი ხილულად შენედა, 2022 წლისთვის ნაშთის მაჩვენებელმა 1 საქმით დაიკლო. აღნიშნული შესაძლოა გვადლევედეს იმის თქმის საშუალებას, რომ სასამართლოს ეფექტურობის ხარისხი გადახდისუნარობის საქმეებთან გასამკლავებლად ბოლო წლებში შედარებით ამაღლდა.

#### **გრაფიკი 2. გადახდისუნარობის საქმეების ნაშთი წლის დასაწყისში**

<sup>6</sup> გადახდისუნარობის ის საქმეები, რომელთა განხილვაც დასრულდა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანით.




წყარო: უზენაესი სასამართლო

### 1.1.2. სასამართლოსთვის განსახილველად გადაცემული გადახდისუუნარობის საქმეების რაოდენობა

კომპანიის გადახდისუუნარობა ჯანსაღი საბაზრო მოვლენაა. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებასთან ერთად ლოგიკურია იმის მოლოდინი, რომ ბიზნესების გადახდისუუნარობა მოიმატებს. ამრიგად, 2020 წლის მკვეთრი ეკონომიკური ვარდნის შემდეგ, სასამართლოსთვის განსახილველად გადაცემული გადახდისუუნარობის საქმეების რაოდენობა, სავარაუდოდ, უნდა გაზრდილიყო. გრაფიკი 3-დან ნათლად ჩანს საპირისპირო დინამიკა, რომ 2020 წელს სასამართლოსთვის განსახილველად გადაცემული გადახდისუუნარობის საქმეების რაოდენობა შემცირდა, რაც შესაძლოა იმით ავსხნათ, რომ COVID-19-თან დაკავშირებული რეგულაციების ფონზე სასამართლოთა ფუნქციონირებაც შეფერხდა 2020 წლისთვის. მიუხედავად ამისა, COVID-19-თან დაკავშირებული რეგულაციების შემსუბუქების პარალელურად, 2020 წლამდე არსებულ სურათთან შედარებით, 2021 და 2022 წლებში სასამართლოში შესული გადახდისუუნარობის საქმეების რაოდენობა მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. ეს, სავარაუდოდ, შეგვიძლია დავეკავშიროთ იმ ფაქტს, რომ გადახდისუუნარობის ახალი კანონის ამოქმედების შესახებ ბიზნესში ცნობიერების დონე, სფეროს პროფესიონალების თქმით, დაბალია.

### გრაფიკი 3. სასამართლოსთვის გადაცემული გადახდისუუნარობის საქმეების რაოდენობა




წყარო: უზენაესი სასამართლო



### 1.1.3. დასრულებული გადახდისუნარობის საქმეები

აღნიშნული ინდიკატორი ასახავს დასრულებული გადახდისუნარობის საქმეების დინამიკას ქვეყანაში<sup>7</sup>. ჩვენ ვაკვირდებით დასრულებული საქმეების აბსოლუტურ მაჩვენებლებს და მათ ფარდობას წლის დასაწყისში გადახდისუნარობის საქმეთა ნაშთთან (გრაფიკი 4). გრაფიკი 4-ის მიხედვით, გადახდისუნარობის დასრულებული საქმეების როგორც აბსოლუტური, ისე ფარდობითი მნიშვნელობები ცვალებადი დინამიკით ხასიათდებოდა საანგარიშო პერიოდში. ინდიკატორის გაუმჯობესების ტენდენცია იკვეთება 2020-2022 წლებში, როცა იზრდება როგორც დასრულებული საქმეების რაოდენობა, ისე ამ საქმეთა წილიც წლის დასაწყისში არსებული ნაშთის მაჩვენებელთან, რაც, სავარაუდოდ, ასევე აჩვენებს სასამართლო სისტემის ეფექტურობის ზრდას გადახდისუნარობის საქმეების გამკლავებასთან მიმართებით.

#### გრაფიკი 4. დასრულებული გადახდისუნარობის საქმეები



წყარო: უზენაესი სასამართლო

### 1.2. გადახდისუნარობის საქმეების რაოდენობა (ecourt.ge)

უზენაესი სასამართლოს მონაცემებთან ერთად ჩვენ განვიხილავთ სასამართლო საქმეთა ელექტრონულ პორტალ ecourt.ge-ზე გამოქვეყნებულ მონაცემებსაც. ამ პორტალზე მოცემულია ინფორმაცია გადახდისუნარობის საქმეების შესახებ, რომლებიც განახლდა ან დაიწყო 2019 წლის მაისის შემდეგ, მათ შორის არის ისეთი საქმეებიც, რომლებიც რეგულირდება ახალი კანონმდებლობით. გრაფიკი 5 ასახავს ახალი კანონის ფარგლებში წამოწყებული გადახდისუნარობის საქმეების რაოდენობას. როგორც გრაფიკიდან ჩანს, ახალი კანონის ფარგლებში გადახდისუნარობის საქმეთა წამოწყების შესახებ განაცხადი 89 კომპანიამ გააკეთა, საიდანაც 39 კომპანიის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და მათ შემთხვევაში დაიწყო გადახდისუნარობის საქმის წარმოება. წამოწყებული საქმეებიდან, 15 დაიწყო რეაბილიტაციის რეჟიმით. აქედან 5 საქმე, ბოლო განახლებების თანახმად, რეაბილიტაციის რეჟიმით ახლაც მიმდინარეობს, 1 საქმე შეწყდა, ხოლო 9 ბიზნესის შემთხვევაში წარმატებულად დამტკიცდა რეაბილიტაციის გეგმა<sup>8</sup>. რაც შეეხება გაკოტრების რეჟიმით წამოწყებულ საქმეებს, 24 საქმიდან


<sup>7</sup> გადახდისუნარობის ის საქმეები, რომელთა განხილვაც დასრულდა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანით.

<sup>8</sup> რეაბილიტაციის საქმეს წარმატებით დასრულებულად ითვლება იმ შემთხვევაში, როდესაც რეაბილიტაციის გეგმა დამტკიცებულია სასამართლოს მიერ.



18 ჯერ კიდევ მიმდინარეა, 2 გაკოტრების საქმე შეწყდა ან შეჩერდა, ხოლო 4 საქმე დასრულდა ბიზნესის გაკოტრებით.

**გრაფიკი 5. გადახდისუნარობის საქმეების მიმოხილვა**




წყარო: [ecourt.ge](http://ecourt.ge)

როგორც ვხედავთ, კანონით და მისი ინსტრუმენტებით ბევრ კომპანიას ამ დრომდე არ უსარგებლია. გარდა ამისა, ნათელია, რომ ახალი კანონით რეგულირებული საქმეების შემთხვევაში წახალისებულია კომპანიათა რეაბილიტაცია - საკანონმდებლო ჩარჩო უზრუნველყოფს ამგვარი საქმეების სწრაფ დასრულებას, გაკოტრების საქმეებთან შედარებით, რომელთა უმრავლესობა წამოწყების შემდეგ ისევ მიმდინარეობს.

**2. რეაბილიტაციის რეჟიმით მიმდინარე საქმეების წილი წამოწყებულ გადახდისუნარობის საქმეებში**

გადახდისუნარობის რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიზანია სწორედ რეაბილიტაციის გზით სიცოცხლისუნარიანი ბიზნესების გადარჩენა, აქედან გამომდინარე უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ახალი გადახდისუნარობის კანონმდებლობის ფარგლებში ბევრი რეაბილიტაციის საქმე დაიწყოს და წარმატებით დასრულდეს. როგორც აღვნიშნეთ, ამ მიმართულებით დადებითი ტენდენციები შეინიშნება. როგორც გრაფიკი 6-დან ჩანს, მოქმედი საკანონმდებლო ბაზის ფარგლებში, რეაბილიტაციის რეჟიმით წამოწყებული გადახდისუნარობის საქმეების წილი წამოწყებულ საქმეებში 39 პროცენტს შეადგენს. იმავდროულად, იგივე მაჩვენებელი წინა კანონის მოქმედების დროს მხოლოდ 10 პროცენტს შეადგენდა.

**გრაფიკი 6. რეაბილიტაციის რეჟიმით მიმდინარე საქმეების წილი**



წყარო: ecourt.ge

### 3. გადახდისუნარობის საქმეების მიმდინარეობის ხანგრძლივობა


გადახდისუნარობის საქმის წარმოების ხანგრძლივი და არაეფექტური მიმდინარეობა წინა საკანონმდებლო ბაზის მთავარ ნაკლად მიიჩნეოდა. აქედან გამომდინარე, გადახდისუნარობის მიმდინარე რეფორმის ერთ-ერთი მიზანია წახალისოს წამოწყებული გადახდისუნარობის საქმეების სწრაფი გადაწყვეტა. ამ მიზნით, ახალი კანონი ითვალისწინებს ჩამკვეთ 9 თვიან ვადას რეაბილიტაციის რეჟიმის დასასრულებლად.

გადახდისუნარობის საქმეთა ხანგრძლივობის დინამიკის მონიტორინგი შესაძლებელია შემდეგ ორ ინდიკატორზე დაკვირვებით: ა) დასრულებული გადახდისუნარობის საქმეების ხანგრძლივობა; ბ) გადახდისუნარობის მიმდინარე საქმეების ხანგრძლივობა.

#### 3.1 დასრულებული გადახდისუნარობის საქმეების ხანგრძლივობა

როგორც გრაფიკი 7 გვიჩვენებს, დასრულებული გადახდისუნარობის საქმეების საშუალო ხანგრძლივობა, რომელიც იზომება დაწყებიდან გადახდისუნარობის საქმის დასრულებამდე არსებული დროის რაოდენობით წლებში, საანგარიშო პერიოდში ზრდადია. 2023 წელს კი ამ მაჩვენებელმა შესამჩნევად მოიმატა.

გრაფიკი 7. დასრულებული საქმეების ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებელი (2019-09.2023)




წყარო: ecourt.ge

თუ დეტალურად დავაკვირდებით თითოეული საქმის წარმოების ხანგრძლივობას (გრაფიკი 8), შევნიშნავთ რამდენიმე საინტერესო ტენდენციას. ცხადია, რომ ახალი კანონის ფარგლებში წამოწყებული (როგორც ეს წითელი კვადრატით არის ნაჩვენები) საქმეების მიმდინარეობის



საშუალო ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად ნაკლებია წინა კანონის ფარგლებში წამოწყებული და დასრულებული საქმეების საშუალო ხანგრძლივობაზე (როგორც ეს ყვითელი სამკუთხედიან ნაჩვენებია). გრაფიკი 7-ში მოცემული საშუალო მაჩვენებლის ზრდის მიზეზიც სწორედ ეს არის - 2023 წელს რამდენიმე ძველი კანონით რეგულირებული, დასრულებული საქმის მაღალი ხანგრძლივობა. მაგალითად, ერთ-ერთი საქმე, რომელიც 2023 წელს დასრულდა და ძველი კანონით რეგულირდებოდა, 15.4 წლის განმავლობაში გაგრძელდა.

**გრაფიკი 8. ძველი და ახალი კანონით მიმდინარე დასრულებული გადახდისუნარობის საქმეების გადანაწილება საქმისწარმოების ხანგრძლივობის მიხედვით (2019-09.2023)**



წყარო: [ecourt.ge](http://ecourt.ge)


მნიშვნელოვანია, რომ ახალი კანონით მიმდინარე საქმეების ინტერპრეტირებისას გავითვალისწინოთ, რომ შესაბამისი დასრულებული საქმეების უმეტესობა რეაბილიტაციის რეჟიმით მიმდინარეობდა, რომლის შემთხვევაშიც კანონი ჩამკეტ დროით ინსტრუმენტს (9 თვეს) ითვალისწინებს, ხოლო წამოწყებული გაკოტრების საქმეების 75% (24 საქმიდან 18) ჯერ კიდევ მიმდინარეა. ამდენად, ახალი კანონის რეალური ეფექტები მნიშვნელოვანია სამომავლოდაც შევაფასოთ, როცა დავინახავთ წამოწყებული გაკოტრების საქმეების დასრულების დინამიკას და მათ ხანგრძლივობას.

### 3.2 გადახდისუნარობის საქმეთა საქმისწარმოების ხანგრძლივობა

გადახდისუნარობის საქმეთა საქმისწარმოების ხანგრძლივობის დინამიკის შეფასების კიდევ ერთი მაჩვენებელია გადახდისუნარობის მიმდინარე საქმეების ხანგრძლივობა. ეს ინდიკატორი ზომავს თუ რამდენი ხანია გრძელდება საშუალოდ ან მედიანურად ის საქმეები, რომლებიც ახლა მიმდინარეობს. როგორც გრაფიკი 9 გვიჩვენებს, გადახდისუნარობის მიმდინარე საქმეთა მედიანური და საშუალო ხანგრძლივობა იზრდებოდა წლების განმავლობაში (მიუხედავად ამისა, მედიანური ხანგრძლივობის მცირედით შემცირება შეინიშნებოდა 2021 წლის შუაში). აღნიშნული ტენდენცია კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს წინა კანონის ფარგლებში წამოწყებული საქმეების განხილვის ხანგრძლივ პროცესს, რაც ზრდის საშუალო მაჩვენებელს.



გრაფიკი 9. გადახდისუნარობის მიმდინარე საქმეთა საშუალო და მედიანური ხანგრძლივობა (2019-09.2023)



წყარო: [ecourt.ge](http://ecourt.ge)



## დანართი I. დაინტერესებულ მხარეთა კითხვარი

### შინაარსი და ადეკვატურობა

1. რამდენად პასუხობს რეფორმის მიზნები ქართულ რეალობაში არსებულ გამოწვევებს?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
---	---	---	---	---	---	---	---	---	----

2. როგორ შეაფასებდით რეფორმის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
---	---	---	---	---	---	---	---	---	----

### პროგრესი

1. როგორ შეაფასებდით რეფორმის ფარგლებში დღეის მდგომარეობით გატარებულ ღონისძიებებს?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
---	---	---	---	---	---	---	---	---	----

2. რამდენად უწყობს ხელს რეფორმის ფარგლებში გატარებული და დაგეგმილი ღონისძიებები ეკონომიკური ზრდის შემზღვეველი ფაქტორების მოხსნას?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
---	---	---	---	---	---	---	---	---	----

### არსებული ვითარება

1. როგორ შეაფასებდით გადახდისუნარობის სფეროში არსებულ ამჟამინდელ მდგომარეობას?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
---	---	---	---	---	---	---	---	---	----

### მოსალოდნელი შედეგები

1. მიაღწევს თუ არა რეფორმა დასახულ მიზნებს?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
---	---	---	---	---	---	---	---	---	----

2. არის თუ არა რეფორმით გათვალისწინებული ღონისძიებები დასახული მიზნების მიღწევის ოპტიმალური გზა?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
---	---	---	---	---	---	---	---	---	----





**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან

**ISET**

International School of Economics at TSU  
Policy Institute

**დანართი II. საჯარო-კერძო დიალოგზე გამოყენებული პრეზენტაცია**



USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა



# რეფორმები

შენი გზამკვლევი რეფორმებში

*შენიშვნა: ამ პრეზენტაციის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ, USAID-ის მეშვეობით, გაწეული დახმარების შედეგად. პრეზენტაციაში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის პოზიციას.*



## დღის წესრიგი

- ღონისძიების გახსნა
- გადახდისუუნარობის რეფორმის მიმდინარეობის მიმოხილვა
- გადახდისუუნარობის რეფორმის პროგრესის შეფასების ინდიკატორების წარდგენა
  - რეფორმის განმახორციელებელი უწყებების პროგრესის განხილვა
- გადახდისუუნარობის რეფორმა პრაქტიკაში
- საჯარო-კერძო დიალოგი და რეფორმის შეფასება დაინტერესებული მხარეების მხრიდან



USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა





## პროექტის შესახებ

- რეფორმეტრის მიზანია შერჩეული ეკონომიკური რეფორმების პროგრესის ანალიზი, რეფორმით დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობა და რეფორმის განმახორციელებელი სამთავრობო უწყებების მხარდაჭერა რეფორმის ცნობადობის და ეფექტიანობის ასამაღლებლად.
- რეფორმეტრის პირველი ფაზა: 2015-2019 წლები
- პროექტის ახალი ეტაპი: 2021-2024 წლები
- სამიზნე რეფორმები:
  - გადახდისუნარიობის რეფორმა
  - კაპიტალის ბაზრის განვითარების რეფორმა
  - წყლის რესურსების მართვის რეფორმა
  - ელექტრონული კომერციის რეფორმა
  - ტურიზმის რეფორმა
  - რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) ინსტიტუციონალიზაციის რეფორმა
  - სახელმწიფო საწარმოების რეფორმა
  - სახელმწიფო შესყიდვების რეფორმა
  - მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების რეფორმა



USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა



# პროექტის მეთოდოლოგია



1. სამთავრობო კვლევა - რეფორმის დანერგვაში ჩართული უწყებების მიერ რეფორმის პროგრესის შეფასება;
2. დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა - კერძო, საჯარო და სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვან დაინტერესებულ პირთა მიერ რეფორმის და მისი პროგრესის შეფასება;
3. შედეგებისა და გავლენის ინდიკატორები- პროექტის გუნდის მიერ შემუშავებული ინდიკატორები რეფორმის მიმდინარეობასა და მიღებულ შედეგებზე დასაკვირვებლად



USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა



# გადახდისუნარობის რეფორმის შუალედური შედეგები და მიზნები



საკანონმდებლო ჩარჩო

ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი

ინსტიტუციური მოწყობა

კომპეტენციების გაძლიერება

გადახდისუნარობის საქმის წარმოების ეფექტიანობა გაუმჯობესებულია

გადახდისუნარობის საქმეების განაწილებისა და ტექნიკური მართვის ეფექტურობა გაზრდილია

პრაქტიკოსთა ინსტიტუტი გაძლიერებულია

პრაქტიკოსთა კვალიფიკაცია ამაღლებულია

ცნობიერება ახალ საკანონმდებლო ჩარჩოზე გაზრდილია

საწარმოს აქტივების ღირებულება და კრედიტორთა მოთხოვნების ამოღების მაჩვენებელი გაზრდილია

გადახდისუნარობის საქმის წარმოების საშუალო ხარგმდღივობა შემცირებულია

რეაბილიტირებული ბიზნესების რაოდენობა გაზრდილია


ბიზნეს გარემო გაუმჯობესებულია

მმართველობის ხარისხი გაუმჯობესებულია



USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა


# გადახდისუნარიობის რეფორმის აქტივობების მიმდინარე სტატუსი



USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა



# RIA-ს ინსტიტუციონალიზაციის რეფორმის აქტივობები



USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა










# გადახდისუნარიობის რეფორმის განმახორციელებელი უწყებების პროგრესის შეფასება



## ზოგადი შეფასება



USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა




# რეფორმის შეფასება დაინტერესებული მხარეების მიერ



რეფორმის პირველი შეფასება (12.2021)

რეფორმის მეორე შეფასება (12.2022)



USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა





# გადახდისუნარიობის რეფორმის შეფასების ინდიკატორები




USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა




# განსახილველი გადახდისუუნარობის საქმეების რაოდენობა



გადახდისუუნარობის საქმეთა ნაშთი წლის დასაწყისში



საანგარიშო პერიოდში შემოსული გადახდისუუნარობის საქმეები




წყარო: უზენაესი სასამართლო



USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა



# დასრულებული გადახდისუნარობის საქმეების რაოდენობა



დასრულებული გადახდისუნარობის საქმეები

დასრულებული გადახდისუნარობის საქმეების ფარდობა წლის დასაწყისში არსებული გადახდისუნარობის საქმეების ნაშთთან (%)


წყარო: უზენაესი სასამართლო



USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა



# E-court-ის ბაზაში მოცემული გადახდისუუნარობის საქმეები ძველი კანონის ქვეშ




წყარო: [www.ecourt.ge](http://www.ecourt.ge)  
 შენიშვნა: ბაზაში წარმოდგენილია ინფორმაცია იმ საქმეებზე, რომლებიც დაიწყო ან განახლდა 2019 წლის მაისიდან



USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა



# E-court-ის ბაზაში მოცემული გადახდისუუნარობის საქმეები ახალი კანონის ქვეშ



წყარო: [www.ecourt.ge](http://www.ecourt.ge)  
 შენიშვნა: ბაზაში წარმოდგენილია ინფორმაცია იმ საქმეებზე, რომლებიც დაიწყო ან განახლდა 2019 წლის მაისიდან




USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა


# დასრულებული საქმეების საშუალო ხანგრძლივობა



დასრულებული საქმეების საშუალო ხანგრძლივობა



დასრულებული საქმეების ხანგრძლივობების განაწილება



წყარო: [www.ecourt.ge](http://www.ecourt.ge)

შენიშვნა: ინდიკატორები დათვლილია 2023 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით




USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა





# მიმდინარე საქმეების საშუალო და მედიანური ხანგრძლივობა



წყარო: [www.ecourt.ge](http://www.ecourt.ge)


შენიშვნა: ინდიკატორი დათვლილია 2023 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით



USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა



# რეაბილიტაციის წილი წამოწყებულ საქმეებში



წყარო: [www.ecourt.ge](http://www.ecourt.ge)

შენიშვნა: ახალი კანონის შემთხვევაში განხილულია ის საქმეები, რომლებიც დაიწყო 4/1/2021-დან 9/1/2023 პერიოდში  
ძველი კანონის შემთხვევაში განხილულია ის საქმეები, რომლებიც დაიწყო 10/30/2018-დან 3/31/2021 პერიოდში



USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა





## გადახდისუუნარობის გასულ საჯარო -კერძო დიალოგებზე გააქვრებული მთავარი საკითხები

- კერძო სექტორში კანონის სარგებლის შესახებ ცნობიერების დაბალი დონე
  - გადახდისუუნარობის პროცესის, როგორც რეაბილიტაციის სერვისის შესახებ დაბალი ცნობიერება
- საკანონმდებლო ჩარჩოს დამატებითი განვითარების საჭიროება
  - არსებულ კანონმდებლობაში ცვლილებების ინიცირებისა და გადახდისუუნარობის კანონის საგადასახადო კოდექსთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მნიშვნელობა
- გამოწვევები რეფორმის მხარდამჭერ ინფრასტრუქტურასთან მიმართებით
  - საქმის წარმოების ელექტრონული სისტემის ამოქმედების მნიშვნელობა
  - გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა რეესტრის ალგორითმის ფუნქციონირების დახვეწის საჭიროება



USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა





# გმადლობთ



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან

**ISET** POLICY  
INSTITUTE  
International school of economics at TSU

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა



USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა



# რეფორმები

შენი გზამკვლევი რეფორმებში